საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით
ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი
ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. რ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.10.2019

საჩივრის რეგისტრაციის №125/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ც.-ს მიმართ, /სიითი № / სპეციალიზაცია - საერთო.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ც.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. საჩივრის ავტორმა 2019 წლის 22 ოქტომბერს საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ გ. ც.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ნ. რ.-მ 2021 წლის 17 ივლისის და ამავე წლის 04 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომებზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის თებერვლის თვეში საერთო ნაცნობის - გ. მ.-ის მეშვეობით მიმართა გ. ც.-ს იურიდიული დახმარების მიღების მიზნით. ნ. რ.-სთან ერთად ადვოკატს მიმართეს ნ. რ.-ის მეზობლებმაც - ვ. და ლ. ა.-ებმა. ადვოკატი გ. ც. მათ უნდა დახმარებოდათ მეზობლებთან არსებულ დავასთან დაკავშირებით, კერძოდ, მეზობლის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად ნ. რ.-სათვის და სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

1.3. საჩივრის ავტორმა და ვ. ა.-მა ცალ-ცალკე საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ადვოკატს გადაუხადეს 1500 ლარი. ადვოკატმა დაიწყო ნ. რ.-ისა და ვ. ა.-ის, როგორც მოსარჩელეთა ინტერესების წარმოდგენა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ვ. ჩ.-ს წინააღმდეგ.

1.4. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მას გადახდილი ჰონორარის ფარგლებში საადვოკატო მომსახურება ადვოკატისგან არ მიუღია, რადგან მან მისი ინტერესები არ დაიცვა სათანადოდ.

1.5. ნ. რ. საჩივარში უთითებს, რომ ადვოკატმა მას საქმის მოგების 85 პროცენტიანი გარანტია მისცა, კერძოდ, ადვოკატს „მოგება“ არ უთქვამს, თუმცა უთხრა, რომ „ყველაფერს გააკეთებდა, ეცდებოდა“. ადვოკატი გ. ც. ნ. რ.-ის საქმეზე გამართულ ყველა სასამართლო პროცესზე აგვიანებდა, მიუხედავად საჩივრის ავტორის თხოვნისა, პროცესის დაწყებამდე გამოცხადებულიყო, იმისათვის რომ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებულიყვნენ. ადვოკატმა საჩივრის ავტორის თხოვნის მიუხედავად, არ გაასაჩივრა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა და არ მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნა. ადვოკატი გ. ც. უარს აცხადებდა დაეკითხა მოწმეები სასამართლო პროცესზე, როდესაც აღნიშნული მოწმეების სასამართლოში მიყვანა ორჯერ უზრუნველყო საჩივრის ავტორმა. ადვოკატის მიერ მოწმეთა გამოკითხვაზე უარის თქმამ უარყოფითად იმოქმედა საქმის შედეგზე.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, მის საცხოვრებელ კორპუსთან მდებარეობს აუზი, რომელიც ამჟამად გაუქმებულია. ადვოკატმა გ. ც.-მ სასამართლოს მტკიცებულების სახით არ წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით დადასტურდებოდა, რომ ბინის არსებული დაზიანება არ იყო გამოწვეული აღნიშნული აუზის არსებობით, არამედ მეზობლის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად. მით უფრო რომ კომპანია „ა.-მა“ უზრუნველყო კორპუსის ფუნდამენტური გამაგრება და შესაბამისად, კორპუსი არ იყო ავარიული და ბინის დაზიანება შემდგომში მეზობლის ქმედებამ გამოიწვია. მოცემული მტკიცებულების წარუდგენლობით კი ნ. რ.-ის ინტერესები დაზარალდა და აღნიშნული გარემოება მოწინააღმდეგე მხარემ თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა.

1.7. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სასამართლოს წარუდგინა CD დისკის სახით ვიდეოჩანაწერები, რომელზეც ასახული იყო მეზობლის მიერ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, თუმცა აღნიშნული ჩანაწერებიდან სასამართლომ მხოლოდ ერთი გამოიკვლია არა ადვოკატის შუამდგომლობით, არამედ საჩივრის ავტორის მოთხოვნით. ადვოკატს სურდა დროულად საქმის დასრულება და ამიტომ ცდილობდა საქმეზე რაც შეიძლება ნაკლები მტკიცებულება გამოკვლეულიყო.

1.8. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გ. ც.-მ სასამართლო სხდომაზე არ გააპროტესტა მოპასუხე მხარის ადვოკატის განმარტება იმის თაობაზე, რომ თითქოს საქმეში არსებული დოკუმენტები არ ჰქონდა მას მიღებული, მაშინ როდესაც 2019 წლის 07 აგვისტოს ჩაბარდა მას მასალები. მოწინააღმდეგე მხარემ მოწმედ დაასახელა ის პირი, რომელიც „მისი მოწმე არ იყო“, თუმცა აღნიშნულიც არ გააპროტესტა ადვოკატმა გ. ც.-მ.

1.9. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი გ. ც. სასამართლო სხდომაზე სამართლებრივად არასწორად აფასებდა საკითხს, რის თაობაზეც მოსამართლემ შენიშვნაც მისცა.

1.10. ვინაიდან, მოწინააღმდეგე მხარე აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ ნ. რ.-ის საცხოვრებელი ბინის დაზიანება გამოწვეული იყო აუზის არსებობით, საჩივრის ავტორმა მის ქვემოთ მდებარე ბინის ამსახველი ფოტომასალა შეაგროვა და გადასცა ადვოკატს, იმის დასადასტურებლად, რომ მეზობლის ბინაში არ იყო ბზარები და აუზის არსებობა კორპუსს არ აზიანებდა. ადვოკატმა გ. ც.-მ მტკიცებულების სახით აღნიშნული ფოტომასალა არ წარუდგინა სასამართლოს, რადგან მისი მოსაზრებით მტკიცებულება არ იყო მნიშვნელოვანი საქმისთვის.

1.11. ადვოკატმა დროულად არ გამოითხოვა თბილისის მერიიდან წერილი, რაც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ნ. რ.-ის საცხოვრებელი კორპუსი ავარიული არ იყო.

1.12. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მონდომების გათვალისწინებით პროცესი მის სასარგებლოდ მიდიოდა და მოპასუხე მხარემ ბინაში არსებული ბზარების ამოვსებაზეც გამოთქვეს სურვილი, თუმცა „არაკომპეტენტური“ ადვოკატის ქმედების შედეგად მან საქმე წააგო. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არ ჰქონდა სათანადო ცოდნა და გამოცდილება სამართალში, იმისათვის რომ საქმეზე სასურველი შედეგი დამდგარიყო.

1.13. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ წესრიგის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახით ჯარიმა დააკისრა. ადვოკატმა არ განუმარტა საჩივრის ავტორს თხოვნის მიუხედავად, თუ რატომ დაჯარიმდა, ამასთან ადვოკატმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მას იმის თაობაზე, რომ თითქოს ჯარიმა გაუქმდა და გადახდის ვალდებულება არ არსებობდა.

1.14. საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველ ინსტანციაში საქმის წაგების შემდეგ, მას აღარ ჰქონდა სურვილი ადვოკატ გ. ც.-ს გაეგრძელებინა მისი საქმისწარმოება და ამასთან, საჩივრის ავტორს არ სურდა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრება და მხარის წინააღმდეგ დავის გაგრძელება, რადგან მისი განმარტებით, მოსამართლემ მიკერძოებულად განიხილა საქმე და დამატებით ზედმეტი ხარჯის გაღება აღარ სურდა, რის თაობაზეც ინფორმაცია მიაწოდა მის მეზობელს - ლ. ა.-ს, რომელიც აუცილებლად ეტყოდა ადვოკატ გ. ც.-ს იმის თაობაზე, რომ საქმის შემდგომ ინსტანციებში გასაჩივრება ნ. რ.-ს აღარ სურდა.

1.15. საჩივრის ავტორმა მოგვიანებით შეიტყო, რომ არამხოლოდ მოსარჩელე ვ. ა.-ის, არამედ მისი სახელითაც ადვოკატს გასაჩივრებული ჰქონდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ადვოკატმა სააპელაციო წესითაც წააგო ნ. რ.-ის საქმე და კვლავ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში მასთან შეუთანხმებლად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა გ. ც. 2021 წლის 04 აგვისტოს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული პლატფორმის „ზუმის“ მეშვეობით წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, მას არ მიუცია გარანტია საქმის შედეგის თაობაზე საჩივრის ავტორისათვის. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ადვოკატის მიერ მითითებულია საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის გაცემის აკრძალვაზე.

2.2. ადვოკატს ნ. რ.-მ გაუგზავნა წერილი, სადაც ის უთითებდა, რომ მან (ადვოკატმა გ. ც.-მ) მოატყუა, როცა უთხრა რომ მოსამართლის მიერ გამოცემული განკარგულება დაჯარიმების შესახებ გაუქმებული იყო და მოგვიანებით შეიტყო, რომ ჯარიმის თანხა 130 ლარამდე იყო გაზრდილი.

ადვოკატის განმარტებით, ნ. რ. დაჯარიმდა მოსამართლის განკარგულებით სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის გამო. დაჯარიმების შესახებ განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება. ადვოკატის განცხადებით, მას არ უთქვამს საჩივრის ავტორისათვის, რომ განკარგულება „გაუქმებული“ იყო.

2.3. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და რომ მხარეს უფლება აქვს მოწმედ დაასახელოს ნებისმიერი პირი. მოპასუხე მხარის შუამდგომლობის მიუხედავად მოწმე არ გამოცხადდა სხდომაზე. საჩივრის ავტორმა ადვოკატს სთხოვა პროცესზე დაკითხულიყო მოწმის სახით ა. რ., რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხე მხარემ მის დაუკითხავად დაასახელა იგი მოწმედ. ადვოკატმა განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ იმ საკითხის გარკვევა ჩვენების მიცემაზე იყო თუ არა თანახმა ა. რ. - საქმისთვის არ იყო მნიშვნელოვანი.

2.4. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ ის შუამდგომლობდა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე დასაბუთებულად, თუმცა სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რაც სასამართლო პროცესის შემადგენელი ნაწილია და მან მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ განჩინება შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გაასაჩივრა.

2.5. ადვოკატის განცხადებით, სასამართლო პროცესზე 15 წუთით მისი დაგვიანების მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, რის თაობაზეც წინსწრებით, როგორც ნ. რ.-ს, ასევე მოსამართლის ეცნობა. აღნიშნულ დღეს სხდომა ადვოკატის გამოცხადებისთანავე ჩატარდა და ნ. რ.-ს, მისი დაგვიანებით რაიმე ზიანი არ მიდგომია.

2.6. ადვოკატის განცხადებით, მან შესაბამისი ცნობა გამოითხოვა კორპუსის ავარიულობის თაობაზე და წარადგინა სასამართლოში. ადვოკატმა გაასაჩივრა ექსპერტიზის დასკვნა ნ. რ.-ის საქმესთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც დასკვნის შემდგენ პირთან შეხვედრა ჩაინიშნა. შეხვედრაზე ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნა ვერ შეიცვლებოდა, რის შემდეგაც ნ. რ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ როგორი სახითაც არსებობდა დასკვნა, ის წარედგინათ სასამართლოსთვის. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულის დასადასტურებლად ის შეძლებს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დოკუმენტაციის გამოთხოვას და კომისიისთვის წარდგენას.

2.7. ადვოკატი მიიჩნევს, რომ აუზის ავარიულობის შესახებ შედგენილი დასკვნა უარყოფითად იმოქმედებდა სამართლებრივ მოთხოვნაზე, რადგან დასკვნაში მითითებული გარემოებები შესაძლოა, სასამართლოს მიეჩნია მისი მარწმუნებლების ბინებში წარმოშობილი ბზარების გამომწვევ მიზეზად.

2.8. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას, იმის თაობაზე, რომ ვიდეო მასალის სასამართლოზე წარდგენაში მას მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე უარს აცხადებდა ვიდეოჩანაწერების გამოკვლევაზე და მისი მოთხოვნით განხორციელდა მათი ჩვენება პროცესზე და აღნიშნულ დროს, ადვოკატმა მოსამართლეს მიუთითა სამოსამართლეო ეთიკის ნორმები დაეცვა.

2.9. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორთან კომუნიკაციის პრობლემა არ ჰქონია და თუ ვერ პასუხობდა, მოგვიანებით უკავშირდებოდა, მათ შორის ნ. რ.-სთან მისი ახლობლის - კონსერვატორიის იურისტის მეშვეობითაც ჰქონდა კომუნიკაცია.

2.10. ადვოკატის განმარტებით, პირველ ინსტანციაში საქმის დასრულების დროს მომჩივანს მისთვის რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია და არც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უთქვამს უარი და შესაბამისად, ადვოკატმა გაცემული რწმუნებულებისა და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

2.11. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ადვოკატის ზეპირი განმარტებით, მან პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის ბოლო პროცესზე ნახა ნ. რ.. ადვოკატმა 2018 წლის 21 აგვისტოს, როგორც ნ. რ.-ისა და ვ. ა.-ის წარმომადგენელმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა სააპელაციო საჩივარზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ხარვეზი აპელანტთა მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

2.12. ადვოკატის განცხადებით, მას საჩივრის ავტორისგან გაცემული მინდობილობისა და გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ჰქონდა ვალდებულება, რომ საქმე სამივე ინსტანციაში ეწარმოებინა. შესაბამისად, მან გაასაჩივრა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა ბაჟის გადაუხდელობის გამო სააპელაციო საჩივარი არ იქნა წარმოებაში მიღებული, რის თაობაზეც მან კერძო საჩივარი წარუდგინა უზენაეს სასამართლოს.

2.13. ადვოკატის განმარტებით, ის არ ეთანხმება მომჩივანს იმის თაობაზე, რომ უზენაეს სასამართლოში საწმისწარმოება იყო დაწყებული, მათ შორის ჩაინიშნა სხდომა, რის თაობაზე უწყებით აცნობეს ნ. რ.-ს, ვინაიდან, არსებითად საქმე არ განიხილებოდა, სახელმწიფო ბაჟიც არ იყო გადახდილი და მარტივი კატეგორიის საქმეზე სხდომა არც ჩაინიშნებოდა. ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ნ. რ.-ს არ სურდა საქმის წარმოების გაგრძელება, მას საჩივრის გახმობა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო.

2.14. ადვოკატის განმარტებით, მეორე კლიენტის - ვ. ა.-ის საქმე ისედაც უნდა ეწარმოებინა, საბოლოოდ, მათაც თქვეს უარი უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე თავიანთ საჩივარზე. ადვოკატის განცხადებით, აპელაციაში და კასაციის ეტაპზე ნ. რ.-ს არ მიდგომია რაიმე ზიანი იმის გამო, რომ ის მითითებული იყო, როგორც სააპელაციო და კერძო საჩივრებში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2020 წლის 13 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. ც.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა გ. ც.-მ საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, სააპელაციო და შემდგომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილებები საჩივრის ავტორთან შეუთანხმებლად, შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 და 8.6 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები

4.1.1 ადვოკატი გ. ც. ნ. რ.-ისა და მისი მეზობლის - ვ. ა.-ის, როგორც მოსარჩელეთა ინტერესებს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ვ. ჩ.-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

4.1.2 2018 წლის 06 ივლისს სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა, მათ შორის ნ. რ.-ის მოთხოვნა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2018 წლის 06 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება;

4.1.3 2018 წლის 21 აგვისტოს ადვოკატმა გ. ც.-მ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 11 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება;

4.1.4 ადვოკატმა გ. ც.-მ საჩივრის ავტორის საქმეზე 2019 წლის 11 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე გაასაჩივრა კერძო საჩივრით და მოითხოვა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისთვის ვადის განსაზღვრა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 ლის 03 მაისის კერძო საჩივარი;

4.1.5 უზენაესმა სასამართლომ ადვოკატ გ. ც.-ს მიერ ნ. რ.-ის საქმეზე წარდგენილი კერძო საჩივარი მიიჩნია ხარვეზიანად და დამატებით განსაზღვრა ვადა კერძო საჩივრის განხილვისთვის საჭირო სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 20 მაისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება;

4.1.6 2019 წლის მაისის თვეში ნ. რ.-მ განცხადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს მის საქმესთან დაკავშირებით კერძო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის მოთხოვნით, რის საფუძველზე სასამართლოს მიერ შეწყდა საქმისწარმოება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 06 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება;

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეებს შორის სადავოა ადვოკატმა გ. ც.-მ საჩივრის ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა თუ არა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აპელაციით წესით გასაჩივრებისას. მომჩივანი ადასტურებს, რომ ადვოკატს მისი საქმე სრულად უნდა ეწარმოებინა ყველა ინსტანციის სასამართლოში, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება აღარ სურდა (იხ. პუნქტი: 1.14). დგინდება რომ ადვოკატ გ. ც.-ს შეთანხმების შესაბამისად, საჩივრის ავტორის საქმეზე უნდა განეხორციელებინა საადვოკატო მომსახურება მის სრულ დასრულებამდე, რაც ნ. რ.-სგან მინიჭებული მინდობილობითაც გათვალისწინებული იყო. ნ. რ.-ის მიერ ადვოკატს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ

საქმისწარმოების გაგრძელება აღარ სურდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ მომჩივანმა ინფორმაცია მიაწოდა ადვოკატის მეორე კლიენტს იმის თაობაზე, რომ მას აღარ სურდა გადაწყვეტილების გასაჩივრება, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატი ინფორმირებული იყო აღნიშნულის თაობაზე და მიუხედავად ამისა მან საჩივრის ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ც.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა გ. ც.-მ დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული მუხლები:

> „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში“ (აპეკ-ის 8.2)
>
> „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ“ (აპეკ-ის 8.6 მუხლი).

6.2 კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებულ ეთიკის კომისიის პრაქტიკას, რაც ეხება კლიენტთან შეუთანხმებლად ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებების მნიშვნელობას, მათ შორის მსგავსად გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, მორიგების გაფორმების დროს, ადვოკატის მიერ შესასრულებელი ეთიკური ვალდებულებებს. „ადვოკატმა აღნიშნული კლიენტთან უნდა შეათანხმოს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას მინიჭებული მინდობილობით უფლებამოსილება გააფორმოს მხარესთან კლიენტის სახელით მორიგება.“(ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, 29.11.2020 №3091/11/07, პარ.10)

6.3 „...საქმესთან დაკავშირებულ არსებით გადაწყვეტილებებს კლიენტი უნდა იღებდეს. ეს შეიძლება იყოს: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი... კლიენტისათვის მიცემული რეკომენდაციები და განხორციელებული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კლიენტის ინტერესებს და მათ დაცვას ემსახურებოდეს. კლიენტის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს ადვოკატის მიმართ ნდობაზე, შედეგად კი შემდგომ ურთიერთობაზე. ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივი ძალა აქვს. ამიტომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, 03.06.2017 №022/11 პარ.6.7).

6.4 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მომჩივანის მიერ ადვოკატის მიმართ არსებულ პრეტენზიებზე (იხ. პუნქტი 1.5-1.14) არ აღიძრა დისციპლინური დევნა საქმის საპროცესო კოლეგიის

მიერ განხილვის ეტაპზე და შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ შეაფასა დისციპლინური დევნის აღძვრის ფარგლებში მითითებული გარემოებები, რაც ეხება ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის საქმეზე მიღებულ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

6.5 კერძოდ, ადვოკატ გ. ც.-ს, როგორც წარმომადგენლის მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აპელაციის წესით. სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, საქმე არ იქნა წარმოებაში მიღებული და აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული განჩინების თაობაზე ადვოკატმა გ. ც.-მ უზენაეს სასამართლოს წარუდგინა კერძო საჩივარი (იხ.პუნქტი 4.1.4). შესაბამისად, ადვოკატი მოქმედებდა მისთვის მინიჭებული მინდობილობის ფარგლებში და საქმის არსებითი განხილვა ადვოკატის, როგორც წარმომადგენლის მიერ საჩივრის ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ მეორე და მესამე ინსტანციაში არ დაწყებულა. ამასთან, უზენაეს სასამართლოში ნ. რ.-მ წარადგინა განცხადება იმის თაობაზე, რომ მას არ სურდა კერძო საჩივრის განხილვა (იხ.პუნქტი 4.1.5). მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ ადვოკატისთვის საჩივრის ავტორისგან ცნობილი იყო, რომ მას აღარ სურდა გადაწყვეტილების გასაჩივრება და მიუხედავად ამისა, ადვოკატმა იმოქმედა მომჩივანის, როგორც მისი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამასთან, გარდა საჩივრის ავტორის პოზიციისა, არ დგინდება, ადვოკატის მიერ აპელაციის წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჩივრის ავტორისათვის მიყენებული კონკრეტული ზიანის არსებობა.

6.6 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №125/19 ადვოკატ გ. ც.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/